

გვითხველი =

რეზო კიკნაძე

ეს ინტერვიუ, შეიძლება ითქვას, გერმანიაშია „ჩაწერილი“. რეზო კიკნაძე — კომპოზიტორი, შემსრულებელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, დღეს, 13 სექტემბერს, ალბათ უკვე დაბრუნდა საქართველოში. მე კი იქამდე დავუკავშირდი და შეხვედრა ვთხოვე. მითხრა, თბილისში არ ვარ და ისედაც, მირჩვნია კითხვები მომხერო, რადგან ასეთ დროს ნაკლები რედაქტორება მინევს საკუთარი „ნალაპარაკევის“, რომელსაც, შეხვედრის შემთხვევაში, ინტერვიუური უკეთებს „რედაქციას“, პირადად თქვენზე არ ვამბობ, ზოგადი რამეაო. გადავუგზავნე. მერე მთელი კვირა ვღელავდი, როგორ მოასწრებს, გაზითისოთვის საჭირო მოცულობის ტექსტი დროულად გამოგზავნოს-მეთქი. ამის თაობაზე კიდევ ერთხელ შევეხმიან. შევძლებო, დამამშვიდა — „ნერა ლიტერატურული უფრო მეხერხება, ვიდრე მუსიკალურიო“.

შემდეგ ბიოგრაფიას უფრო ახლოდან რომ გავეცანი, აღმოვაჩინე, მის ცხოვრებაში მუსიკა და ლიტერატურა საოცრადა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. ე.ნ. ბიოგრაფიულ მონაცემებზე აქ არ შევჩერდები, რადგან მკითხველი, ინტერვიუს ერთნაწილში, თავად ბატონი რეზოსგან მოისმენს, თან პეტრად საინტერესოდ და ცოცხლად მოთხოვდის. ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვერ მოიხსნო. დილის 4 საათი იქნებოდა, ბოლო ნაწილი რომ გადმოვზავნა, ახლა რომ არ დავიძინო, ხვალ მატარებელზე დამაგვიანდებათ. ვფიქრობ, მაინც საინტერესო და სავსე საუბარი შედგა მხოლოდ ერთს დავამატებ — რეზო კიკნაძე ანჩისხატის ეკლესიის მგალობელთა გუნდიდან მახსოვე, მაშინ ის ერთადერთი გუნდი იყო, ქართულ ტრადიციულ გალობას არ უღლებდა. მას მერე ძალიან დიდი დრო გავიდა და ახლა უკვე გადაუქარდებოდა შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანესი რეზორმა, რასაც ტრადიციული გალობის აღდგენა ჰქვია, სწორედ მათგან დაიწყო. ამის შესახებ, ინტერვიუში არაფერია ნათქვამი და ამიტომაც მოგახსენეთ.

— საუბარი ბავშვობით დავინტყოთ, ვით
ნაიდან ბავშვობას თუნდაც ერთი-ორი
წიგნისა და შთაბეჭდილების გარეშე
ვფიქრობ, არავისთან ჩაუვლია. თქვენი¹
დამოკიდებულება ლიტერატურასთან კი
დარწმუნებული ვარ, იმთავითვე მნიშვ
ვნელოვნად განსაზღვრა ოჯახება და იმ
ლიტერატურულმა გარემომ, რომელსაც
მამათქვენი, ბატონი ზურაბ კიკნაძე ნებ
ისმიერ ადამიანს უქმნის. თუ შეიძლება
გაიხსენეთ ის წლები.

— ჩემი უადრესი მოგონებები, უფრო
სწორად ალქემები, რომლებიც მახსოვს
მაინც ალპათ უფრო აკუსტიკური და ვი
ზუალური იყო, ვიდრე ლიტერატურული
შუბერტის ექსპრომტი օр. 90 № 4, ან
პროკოფიევის I აბი ეს არ ეს, მათ ხმოვა
ანებასთან დაკავშირებული ფანტასმაგრა
რიული ხილვებითურთ, ვატყობ, უფრო ინ-
ტენსიურ შთაბეჭდილებად ჩამრჩენია ექს-
სიერებაში, ვიდრე არსენას ლესია ან ვეფრის
და მოყმის ამბავი, კლინიკაში გატარებუ-
ლი თვეების მანძილზე (სულ პატარა ასაკ-
ში ექვსი ინფექციური დაავადება ისე წაეწ-
ყო ერთმანეთს, რომ ჯერ ძლივს გადავრ-
ჩენილვარ და მერე თავიდან ამიღგამას-
ფეხი) რომ მიკითხავდნენ. პლასტმასის
ხმალი კი, სანოლთან რომ მეკიდა, სწორედ
იმ უარყოფითა პერსონაჟების მოსაგერიე-
ბლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი
რომელთა აღარც სახელები მახსოვს, აღ-
არც არსებობა.

მოგვიანებითაც, ძილისპირულის
სმენისას, გადატევირთული დინამიკის დის-
ტროცია უფრო ცოცხლად მახსოვეს, ზღა-
პრის მერე იავნანას რომ ახლდა თან, ვი-
დრე თავად ზღაპრი...

თუმცა, ასაკთან ერთად, ფილოლო
გიურ ოჯახში აღზრდის კვალიც მეტად და
მეტად დამეტყო. მასსოვს, როგორ მიკითხა-
ჟდა მამაჩემი ძილის წინ ანტიკურ ამბეჭდს
(ნ. ა. კუნის თუ გუსტავ შვაბის წიგნიდან):
და როგორ გადმომდიოდნენ ის გმირები და
პერსონაჟები ჩემს ეზოში, როცა სახელებს
ვირქევდით და როლებს ვინანილებდით...
უნდა გამოვტყდე, კარგა ხანს გამიგრძელებ-
და ეს — ლიტერატურული და, მოგვია-
ნებით, ისტორიული პერსონების სახელ-
თა მითევსება და დარიგება: ინდიელების
ტომი იქნებოდა, მეკობრეების ბანდა თუ
მერე უკვე „დამოუკიდებელი“ საიდუმლო
ორგანიზაცია — სულ ლიტერატურულ
პერსონაჟებს, პროტოტიპებს და სტე-
რეოტიპებს ემყარებოდა ხოლმე იმ დღის
კვირის, ზაფხულის თუ მთელი ბავშვობის

თავდაცვინებული „გაუცხოება“...
შედარებით ადრე, სრულიად სპონტა-
ნურად, მომინია „ლიტერატურულმა-
საქმიანობამ“: მიმბაძველური მწერლობა-
ნა, აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ გავლენ-
ით, არცა სახსენებელი, მაგრამ ერთ მშ-
ვენიერ საღამოს ავდექი და, არც ვიცი-
რატომ — ქართულად ვთარგმნე ტოლს-
ტიოს „ესამ ე შე აა-ხე!“ ერთი-ორი მაღალ-
ფარდოვანი ლიტერატურული გამოთქმით
და ზოგადად ალბათ გულუბრყვილო, მა-
გრამ გულწრფელი „ნამუშევრით“ დამსახ-
ურებული მოწონების (დედაჩემი გვერ-
დიდან არ მომშორებია, როცა ვნერდი-
მამაჩემს კი, გვიან მოსულს წაუკითხა-
როცა მე უკვე მეძინა. მან კი თავისი გა-
მომცხვარი მარილიანი ორცხობილების
ნაფეხობას მანქანაზე ამობეჭდილი ქების

სიტუაციის ამონტივიცებით, გულში რეჩქინის მომგვრელი. ერთი პერიოდიც მახსოვეს, როგორი პანიკა და მარტო სიბძელეში ყოფნის აუტანლობა განმივითარდა და როგორ მანც ვერ ვანებებდი თავს ამ „შიშს“, ნიკი ლომოური იქნებოდა, ედგარ პი თუ ებროუზ ბირსა. ახლაც გამცრის ხოლმე ხანდახან, რომელიმე ფრაზის ან სულაც გადმოქართულებული სახელის გახსნებაზე...

კიცედ გადაწყვეტილი. მიხო შუღლიაშვილთან დაწყებული მქონდა მეცადინეობა და მიღებული მქონდა ის მთავარი იმპულსი, მუსიკოსად რომ ვკცეულიყავი. 1986 წელს კონსერვატორიაში ჩავაბარე, 1990 წელს მარიკა ლაფაურმა მიმიზვია თავისთან ლიუბეკში (სამუდამოდ მადლობელი ვარ მისი ამ და ბევრი სხვა რამის გამო!) და მერე იქ გავხდი კომპოზიციის სტუდენტი, მაშინ კი ეჭვი აღარ ეპარებოდა არავის, რომ „გზას კი არ ავცდი“, არამედ ჩემი პროფესია და ცხოვრების აზრი ვიპოვე; 1998 წელს კომპოზიციის დიპლომი მივიღე ლიუბეკში, 2001 წელს — მაგისტრის, იქვე. და, წესით შეიძლებოდა დამთავრებულიყო სტუდენტობა, რომ არა 2008 წელს თბილისის კონსერვატორიის დოქტორანტურაში ჩაბარება: ილიას უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორობისთვის აუცილებელი იყო დოქტორანტობა მაინც. დისერტაცია თითქმის დავამთავრე, დაცვა, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი — კონსერვატორიის რექტორობა შემიმთავაზეს და, დიდი ფიქრის შემდეგ, მივხვდი, ვერასდროს ვაპატიებდი ჩემს თავს უარის თქმას...

მოკლედ — ამ ხანგრძლივობის სტუდენტობას, თუ „ვერწინისტუდენტობას“ შესაბამისად ვრცელი ლიტერატურული ცხოვრება შეიძლებოდა ხლებოდათან, ყველაფერი ლოგიკურად რომ ხდებოდეს ცხოვრებაში. პირველი, ნამდვილი სტუდენტობა — რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს ვგულისხმო — ასეც იყო.

ძირითადად რუსულენოვანიო — მთლად ეგრე უკვე აღარ იყო 70-იანი წლების ბოლოს. კლასიკაც ბლომად იყო თარგმნილი და „ხომლი“ და „საუნჯეტ“ ვარგოდა საზრდოდ და იმპულსად, მაშინდელ სტუდენტობას რომ გვასულდგმულებდა. 1978-79 წლებში უჯარმაში შექძილი უფროსი მეგობრები, სულ ორიოდე წლით უფროსი, მაგრამ ჩვენზე ასჯერ გამოცდილი, ჭკვიანი და მამაცი, მაშინვე გახდნენ ჩვენი, პირველიდან მეორე კურსზე გადასული „პატარების“ გმირები: შეგნატროდით, ვანავლობდით მათგან, ვგაძავდით, ჩემს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა, დაშნების, ჯაზის ფირფიტების და „მობი დიკის“ ქონა რომ შემიქეს, სამაგიეროდ კი თომას ვულფი და შერვუდ ანდერსონი „მაპოვნინებს“, ამერიკული ლიტერატურის გემო გამიხსნეს, თავბრუ დამახვიერს და სტუდენტობის ის აღმაფრენა მაგრძნობინებს, რომელის გამოც ეს, პირველი, მართლაც მთავარი და განუმეორებელი სტუდენტობა დარჩება, კიდევ ბევრჯერაც რომ მომინიოს საძმე ჩაბარება (ნამუსი, ამ თვალსაზრისით, არც მქონია და არც მექნება არასდროს, თუ სწავლა დამჭირდა და მომინდა — სიკვდილამდე მზად ვარ)...

იმ ხანებშივე იყო: მუსიკით, განსაკუთრებით ჯაზით გატაცებულს, კორტასარის „მდევრის“ წაკითხვამ კორტასარი მაპოვნინა და — ჩარლი პარკერიც სხვანაირად მომასმენინა, რაღაცნაირი (ლიტერატურული) ლეგიტიმაცა შეძინა ჩემს ემოციურ და სიტყვიერად მანამდევრახსნილ გაგიჟებას ამ მუსიკით.

რუსულენოვანი თარგმანებიდან —
მარკესი („Nōi ებბ ი ჰეი ი აშიბბ“) — ამ სა-
თაურს დღესაც რუსულად ვამზობ!) და
ლიტვაში გატარებული ის დაუვიწყარი
ზაფხული მახსოვეს, ჩემი ცხოვრება კიდევ
ერთი ნაბიჯით რომ მიუახლოვა იმას,
რომელიც დღეს მაქვს.

— გერმანიაში არაერთი წელი იცხოვრეთ, იმუშავეთ, როგორც მუსიკოსმა. უცხოური, კერძოდ, გერმანულებინვანი ლიტერატურული პროცესები, ლიტერატურული ცხოვრება თქვენ თვალწინები ვართ.

— სტუდენტობა ვრძელდებოდა, მთავრდებოდა, ცოტა ხნის მერე ახალი იწყებოდა, ჩემი წიგნის კითხვაც თვისობროვად იცვლებოდა. მუსიკოსობამ ლიტერატურისადამ დამოკიდებულება მარტო იმით არ შემიცვალა, რომ ნაკლებს ვკითხულობდი: უბრალოდ, მხატვრული ლიტერატურა განიდევნონ ნერ-ნერა და შეუმრიცვლად ჩანაცვლდა სპეციალურობა, ისტორიულით, ესთეტიკურ-პოლემიკურით, წიგნი — პერიოდული გამოცემებით, ინტერნეტის რესურსებით, მუსიკის ტექნოლოგიური და ელექტრონული ასპექტები ხანდახან ესთეტიკურ და მხატვრულ არა-შეზღუდულ წერტილებში.

ვარჯიშის სინაც დადგრარა.
ამ სიტუაციაში ნებისმიერი შეხვედრა
მხარ ტკირულ (უფორ ხშირად — პოეტურ)
„ეგზემპლართან“, ხშირად ასევე პროფე-
სიოლათ ანთიორობებული. უკავ სულ სხვა



କବିତା ପାଠ୍ୟ ପରିଚୟ

სიტყვები მიამაგრა და ასე დამხვდა დილ-ას! სიხარული და სიამაყე ახლაც მახსოვს....

— რომელი იყო თქვენი პირველი
წიგნები, ვინ იყვნენ ლიტერატურულია
გმირები, ან რა სახის იყო წაკითხულითა
თუ პერსონაჟებთან „ურთიერთობით“

— პირველი წიგნებიდან „ხალხური სიბრძნის“ ხუთ ღურჯ ტომს გავიხსენებდი, მესამე ტომის, „ეპოსის“ უცაბური ისტორიები და ერთგვარი დისკომფორტი მა-გონდება, პროზაულ ბასაუებს სალექსო ტაეპები რომ ენაცვლებოდა... „საბავშვო“ და ამგვარი სორტიოება არ მახსოვს — რაც მომხვდებოდა, ვეითხულობდი, თუ არ დამაინტერესებდა — დიდად არ ვიწუხებ-დი თავს, არც კი ვარკვევდი, რატომ აღარ ვაგრძელებდი.

უცხო ენაზე წიგნების კითხვამაც, ადრე
დაწყებულმა (შეიძი წლიდან დამაკავესა
ერთდროულად ინგლისურით, გერმანულით
და — მუსიკით!), დატოვა კვალიკ
რობინ ჰედის ამბები, სტივენსონის წიგნები,
„უფლისცული და მათხოვარი“ მახსოვეს,
წვალებით, სიტყვების გახაზვით, დავიწყებ
ბით და მანაც — კითხვების სრული განცდით,
თან რაღაც (წარმოსახვითი) აკუსტიკური

თანხლებით, თითქოს ხმამაღლა მეკითხოს.
მთავარი კითხვა, მიუხედავად პერმა-
ნენტული საკითხავი სიტუაციისა, მაინც
ქობულეთის ზაფხულის არდალეგებზე მახ-
სოვს. სახლში, სადაც ყოველ წელს ვის-
ვენებდით, შემოხვევით დაგვხვდა არცთუ-
დიდი თარო, გატენილი საოცარი თარგმ-
ნილი თუ ორიგინალური ლიტერატურით.
გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ეს-
სპეციფიური სუნით გაუღენითილი წიგნებით
იყო ჩემი პირველი „ილიადა“, „საიდუმლო-
კუნძული“ და სხვა თხულებები მომდევნო-
რვა ზაფხულის მანძილზე. უფრო ახალგა-
მოცემულ „აივენჰო“ -ზე უფროსების
(ზურაბ კიკნაძესთან და თამაზ ჩემი-
კელთან ერთად ქობულეთში დასვენება
წიგნის გადაუმლელადაც ლიტერატურა
იქნებოდა) დანანგებით ნათქვამიც — ჩემი
დროს აივენგო იყო, რატომდაც დღემდე
მახსოვეს...

რომელიმე წიგნის „პირველბა“ არ
მახსოვეს, ზღაპრებიც და „ნადირობა-მოგა-
ზაურობა-თავგადასავალის“ სერიის სხვა
დასხვა ტომი იმ რაღაც წარსულის „ერთ-
დროულობაშია“ თან გაუჩინარებული და
თან ხანოახან რომელიმე სახლოის ან

